ᲐᲬᲛᲧᲝ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №9, 2025 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ VS ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

წყარო: საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, BBC, RFE/RL

საქართველო და რუსეთი საუკუნეების მანძილზე მეზობლები იყვნენ – ხან მოკავშირეები, ხანაც დაუძინებელი მტრები. ეს ურთიერთობა სავსეა დრამატული მოვლენებით: ღალატი, ოკუპაცია, ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

გადავავლოთ თვალი ამ ისტორიის მთავარ ეტაპებს.

XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ: ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ – ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲤᲐᲜᲒᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

მეთვრამეტე საუკუნემდე რუსეთი იყო უცნობი მეზობელი, კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარე ერთმორწმუნე ქვეყანა, რომელიც საქართველოს საიმედო მეკავშირედ ეჩვენებოდა. საქართველოს სამეფოები (ქართლი-კახეთი) საფრთხეში იყვნენ ოსმალეთისა და სპარსეთის შემოსევების გამო.

1783 წ. – მეგობრობისა და ერთგულების ფიცი – **შეთანხმება:** მეფე ერეკლე II-მ რუსეთთან გააფორმა „გეორგიევსკის ტრაქტატი“ – იმედით, რომ რუსეთი დაიცავდა გარეშე მტრებიდან. სანაცვლოდ, საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობა უნდა შეენარჩუნებინა. თუმცა, სულ მალე, რუსეთმა უღალატა საქართველოს.

რეალობა: №1 ღალატი – შეთანხმების მიუხედავად პირველივე ომში არ ჩაერთო რუსეთი – 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა გაანადგურა თბილისი.

XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ: ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲬᲣᲮᲔᲑᲘ

№2 ღალატი – (1801-1810) – რუსეთმა უგულებელყო ტრაქტატის ყველა პუნქტი და 1801 წელს ქართლ-კახეთი დაიპყრო, მოგვიანებით კი – იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი. საქართველო საბოლოოდ რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა და დაკარგა დამოუკიდებლობა.

ბრძოლა რუსიფიკაციის წინააღმდეგ: მიუხედავად ეკონომიკური და კულტურული განვითარებისა, ქართველებმა არაერთი აჯანყება სცადეს: 1804 წლის აჯანყება, 1819-20 წლების საეკლესიო პროტესტი, 1832 წლის შეთქმულება... ყველა მათგანი სასტიკად ჩაახშო ცარიზმმა. ვერ ჩაახშვეს თავისუფლების იდეა.

საქართველო გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი – დაკარგა დამოუკიდებლობა, მაგრამ მიიღო მშვიდობა, ეკონომიკური განვითარება (გზები, განათლება).

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყვეტილა – მას სათავეში თერგდალეულები - საქართველოს მოწინავე ახალგაზრდები, ჩაუდგნენ.

1832 წელს დაწყებული ბრძოლა დღემდე გრძელდება.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ – 1921-1991

ინდუსტრიალიზაცია და წინააღმდეგობა

საქართველო იყო საბჭოთა რესპუბლიკა – ინდუსტრიალიზაციით, განათლების სექტორის, ჯანდაცვის, კორუფციის განვითარებით, მაგრამ იყო რუსიფიკაცია და კულტურული ზეწოლა. ყველაფერს, უმნიშვნელო წვრილმანის ჩათვლით – მაგალითად, ნამცხვრის რეცეპტი თბილისის საკონდიტრო ქარხანაში, წყვეტდა კრემლი. საქართველო არ იყო საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილი.

ბრძოლა რუსიფიკაციის წინააღმდეგ: 1956, 1978, 1989 წლების პროტესტები თბილისში.

№3 ღალატი – 1956 წელს იყო ქართველთა ეროვნული სიამაყის გათელვა, ამბოხის სისხლიანი ჩახშობა;

1978 წელს – ქართული ენის დაკნინების, სახელმწიფო ენის სტატუსის გაქრობის მცდელობა;

1989 წლის 9 აპრილი – საბჭოთა ჯარის სისხლიანი შეტევა დამოუკიდებლობის იდეაზე და მშვიდობიან მომიტინგეებზე.

1991-2003: ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა. თუმცა, დამოუკიდებლობის პირველივე წლებში ქვეყანა **სამოქალაქო ომმა** და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მხარდაჭერით დაწყებულმა **კონფლიქტებმა** მოიცვა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის წაქეზებით, არ ცნობენ თავს საქართველოს ნაწილად.

პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია, განდევნილი იქნა ქვეყნიდან. მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეძლო რუსეთთან „თანამშრომლობის“ ფონზე, დამოუკიდებლობისკენ და ევროპისკენ სვლა.

№4 ღალატი – რუსეთის ფედერაციამ (როგორც სსრკ-ს მემკვიდრე) საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა 1992 წლის 7 მაისს, როდესაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. თუმცა, წააქეზა სისხლიანი სეპარატისტული კონფლიქტები, სამოქალაქო ომი.

მიუხედავად სირთულეებისა, საქართველომ ევროპული კურსი აირჩია.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ



საქართველოს რუსული გამოწვევები



2003 წლიდან დღემდე: ევროპული მისწრაფება და რუსული აგრესია

„ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ, საქართველომ დემოკრატიული რეფორმები გააძლიერა და მიზნად დაისახა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია.

რუსეთმა ამას დაუპირისპირა ჰიბრიდული ომი და 2008 წლის ხუთდღიანი ომი წამოიწყო. აფხაზეთიც სამხრეთ ოსეთიც რუსეთს ექვემდებარება. რუსეთმა მათი დამოუკიდებლობა აღიარა.

№ 5 ღალატი, მიმდინარე: დღეს საქართველოს ტერიტორიების 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული. რუსეთის ჰიბრიდული ზეწოლა კვლავ გრძელდება – საზღვრის გადმოწევით და სხვა მანიპულაციებით.

საქართველო ევროკავშირთან ასოცირებულია (2014), ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი კი საქართველოში შეჩერებულია, რისთვისაც რუსეთმა მძლავრი ჰიბრიდული ომი აწარმოა და მიაღწია საქართველოს უკუსვლას ევროპული კურსიდან.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორია მტკივნეული გაკვეთილია. საქართველო დღეს დამოუკიდებელია, მაგრამ კვლავ დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე – ოკუპირებული ტერიტორიები, ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლა.

ქვეყნის მომავალი ქართველების არჩევანზეა დამოკიდებული: ევროპული გზა თუ ძველი იმპერიის ჩრდილი?

ისტორია გვასწავლის, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა არასდროს მთავრდება – ის მუდმივი პროცესია, რომელსაც თითოეული თაობა თავისებურად აგრძელებს.



არა შეთქმულებებს, დიახ ევროპულ მომავალს!

ევროკავშირი = სტაბილურობა, ინვესტიცია, უფლებები.

ცრუ ნარატივები vs ფაქტები:

ევროკავშირი ≠ საფრთხე

✗ **მითი:** „ევროკავშირი ცდილობს საქართველოს დესტაბილიზაციას, ომში ჩათრევას, „არატრადიციული ღირებულებების“ თავზე მოხვევას“.

✓ **ფაქტი:** „ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი ბოლოდროინდელი განცხადებები, თითქოს ევროკავშირი ცდილობს საქართველოს დესტაბილიზაციას, ომში ჩათრევას ან ე. წ. „არატრადიციული ღირებულებების“ თავზე მოხვევას, **საზოგადოების შეცდომაში შეყვანის განზრახ მცდელობაა.**

რუსეთის სტილში შეთხზული შეთქმულების თეორიებითა და განხეთქილების გამომწვევი ნარატივებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დაზიანება მხოლოდ მათთვის არის ხელსაყრელი, **ვინც საქართველოს დემოკრატიულ და ევროპულ გზას ეწინააღმდეგება**“.

ანუარ ელ ანუნი,
ევროკავშირის პრესსპიკერი
საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების
პოლიტიკის საკითხებში



1907 წელი – ქართული ხალხის ქელესის ჯაჭვის სიმტკიცის ყონგურენესის

ქელესის სა-ქართველოს ტერიტორიიდან ოსეტი სადამჭერო ჯარების გაყვანას და სა-ქართველოსთვის წ